ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 შაბათი 18 აგვისტო №99 (103[illegible]6) ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

## 20-50-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ყველა მსხვერპლის უფლებათა აღდგენის შესახებ

წარსულის მძიმე მემკვიდრეობაა მასობრივი რეპრესიები, თვითნებობა და უკანონობა, რომლებსაც სჩადიოდა სტალინის ხელმძღვანელობა რევოლუციის, პარტიის, ხალხის სახელით. 20-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული თანამემამულეთა პატივისა და თვით ცხოვრების შებღალვა გრძელდებოდა რამდენიმე ათწლეულს. უსასტიკესი თანამიმდევრულობით ათასობით ადამიანი მორალურად და ფიზიკურად აწამეს, მრავალი მათგანი მოსპეს. მათი ოჯახებისა და ახლობლების ცხოვრება გადაიქცა დამცირებისა და ტანჯვის შავბნელ ზოლად.

სტალინმა და მისმა გარემოცვამ მიითვისეს პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლება და წაართვეს საბჭოთა ხალხს თავისუფლებანი, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ბუნებრივად და განუყოფლად არის მიჩნეული.

მასობრივი რეპრესიები უმეტესწილად ხორციელდებოდა სასამართლოგარეშე ანგარიშსწორების გზით ეგრეთ წოდებული საგანგებო თათბირების, კოლეგიების, „სამეულებისა" და „ორეულების" მეშვეობით. მაგრამ სასამართლოებშიც ფეხქვეშ ითელებოდა სასამართლო წარმოების ელემენტარული ნორმები.

სკკპ XX ყრილობის მიერ დაწყებული სამართლიანობის აღდგენა არათანმიმდევრულად ხდებოდა და არსებითად შეწყდა 60-იანი წლების მეორე ნახევარში.

რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამატებითი შესწავლის სპეციალურმა კომისიამ მოახდინა ათასობით უდანაშაულოდ მსჯავრდადებულის რეაბილიტაცია, გააუქმა უკანონო აქტები მშობლიური ადგილებიდან დევნილი ხალხების წინააღმდეგ; უკანონოდ ცნო პოლიტიკური საქმეების გამო 30-50-იანი წლებში გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სასამართლოგარეშე ორგანოების გადაწყვეტილებანი; მიღებულია სხვა აქტებიც თვითნებობის მსხვერპლთა უფლებების აღდგენის შესახებ.

მაგრამ დღესაც ჯერ კიდევ აღძრული არ არის ათასობით სასამართლო საქმე. უსამართლობის ლაქა დღემდე ვერ მოშორებიათ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც უდანაშაულოდ დაზარალდნენ ძალადური კოლექტივიზაციის დროს, დააპატიმრეს, გაასახლეს ოჯახებითურთ შორეულ რაიონებში არსებობის სახსრების გარეშე, ხმის უფლების გარეშე, თავისუფლების აღკვეთის ვადის გამოცხადების გარეშეც. რეაბილიტირებულ უნდა იქნენ სამღვდელოების წარმომადგენლები და მოქალაქეები, რომლებსაც სდევნიდნენ რელიგიური მოტივებით.

ყველამ ჩვენ, მთელმა საზოგადოებამ, რომელიც დაადგა მორალური აღორძინების, დემოკრატიისა და კანონიერების გზას, რაც შეიძლება მალე უნდა დავძლიოთ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნიადაგზე უკანონობათა, პოლიტიკურ დევნათა შედეგები.

პრინციპულად ვგმობ რა მასობრივ რეპრესიებს, მიმაჩნია რა ისინი ცივილიზაციის ნორმებთან შეუთავსებლად და სსრ კავშირის კონსტიტუციის 127 (პუნქტი 7) და 114 მუხლების საფუძველზე ვადგენ:

1. მიჩნეულ იქნეს უკანონოდ, ადამიანის ძირითადი მოქალაქეობრივი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების საწინააღმდეგოდ რეპრესიები, რომლებიც ხორციელდებოდა გლეხთა მიმართ კოლექტივიზაციის პერიოდში, აგრეთვე ყველა სხვა მოქალაქის მიმართ პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, რელიგიური და სხვა მოტივებით 20-50-იან წლებში, და მთლიანად აღდგეს ამ მოქალაქეთა უფლებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკათა მთავრობებმა, ამ ბრძანებულების შესაბამისად, 1990 წლის 1 ოქტომბრამდე საკანონმდებლო ორგანოებში შეიტანონ წინადადებანი რეპრესიების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების უფლებათა აღდგენის წესის შესახებ.

2. ეს ბრძანებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც საფუძვლიანად მსჯავრდადებული არიან დიდი სამამულო ომის დროს, ომისწინა და ომისშემდგომ წლებში სამშობლოს და საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ დანაშაულობათა ჩადენისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში პროექტი საკანონმდებლო აქტისა, რომელიც განსაზღვრავს ამ დანაშაულობათა ნუსხას და იმ პირთა სასამართლოში აღიარების წესს, რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან მათი ჩადენისათვის და არ ექვემდებარებიან რეაბილიტაციას ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით.

3. ვითვალისწინებ რა 20-50-იან წლებში უსაფუძვლოდ რეპრესირებული მოქალაქეების უფლებათა აღდგენასთან დაკავშირებული ყველა საკითხის სრული გადაჭრის პოლიტიკურ და სოციალურ მნიშვნელობას, დაეკისროს ამ პროცესის მეთვალყურეობა სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 13 აგვისტო.

ეს სიახლეა

# ერთად-ერთი რაიონიდან

ახალაბასთუმნის კოლმეურნეობის გამგეობის მთავარი საზრუნავია, რაც შეიძლება სწრაფად და უმოკლეს ვადაში განმტკიცდეს კოლმეურნეობის ეკონომიკა. ერთი რამ ნათელია, თუ ფინანსურად ძლიერი არა ხარ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეიძლება წელი ვერ გამართო და გაკოტრდე კიდეც.

კოლმეურნეობის გამგეობის აზრით მიმდინარე წელი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ბოლო ხუთწლედში. ამაზე ნათლად მეტყველებს გასული შვიდი თვის მონაცემები. 1 აგვისტოსათვის რენტაბელობის დონემ შეადგინა 50 პროცენტი. მიმდინარე ანგარიშზე საბრუნავი სახსრები წლის ბოლოსათვის მილიონ მანეთს მიაღწევს.

ზრუნვა ეკონომიკის გამტკიცებისათვის გრძელდება. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ კოლმეურნეობის გაწევრიანება კომერციულ ბანკ „იმედში", რომელიც მიმდინარე წელს შეიქმნა ქ. თბილისში. დასახელებულ ბანკში, რომელიც სრულიად თავისუფალია ყოველგვარი დიქტატისაგან და მუშაობს კომერციულ ფორმებს ემყარება, საპაის სახით 800 ათასი მანეთი იქნა შეტანილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად კოლმეურნეობის მოგება ამ თანხის მეშვეობით 25-30 ათასი მანეთით გაიზრდება, რაც შესაბამისად კიდევ უფრო წაადგება კოლმეურნეობის თითოეულ წევრს. ამასთან კოლმეურნეობას შეუძლია შეტანილი თანხა გამოიტანოს ნებისმიერ დროს. კომერციულ ბანკთან ურთიერთობა სხვა სიკეთესაც პირდება კოლმეურნეობას, მათ შორის ვალუტის მოპოვებასაც.

ახალაბასთუმნის კოლმეურნეობა ჯერ-ჯერობით ერთად-ერთია რაიონის კოლმეურნეობათა შორის, რომელიც კომერციულ საქმიანობაში ჩაება.

ზ. ქარაია.

# ჩქარი ტემპით

სოფელ ოქტომბრის მშრომელებმა ელექტროშუქი პირველად 1954 წელს მიიღეს. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. მავთულები ქარმა გაწყვიტა, ბოძები დალპა, ამიტომაც სოფელი ხარვეზებით ღებულობდა ელექტროენერგიას.

სოფლის სატკივარი გაითვალისწინეს სარემონტო უბნის ხელმძღვანელებმა (უფროსი ზ. კუკავა) და ელსადენები ბევრგან გამოცვალეს. ამ კარგ საქმეს სული და გული ჩააქსოვეს დარგის სპეციალისტებმა ძ. უბილავამ, ჯ. შამუგიამ, გ. ნაჭყებიამ და სხვებმა. ამჟამად ნაჭყების უბანში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

ბ. შამუგია,
(ჩვენი კორ.)

## გიხაროდეთ!

დანო და ძმანო, მართმადიდებელნო ქრისტიანენო!

თქვენთვის როგორც ცნობილია, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია წმინდა ნივთები. მათ შორის პერანგი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

დიდ ქრისტიანულ დღესასწაულთან დაკავშირებით (19 აგვისტო ფერიცვალება უფლისა ჩვენის იესო ქრისტესი, 28 აგვისტო მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა) პერანგი ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა გადაბრძანებულ იქნება ღვთისმშობლის სახელობის სახაბლის კარის ეკლესიაში.

თანამემამულენო! 19 აგვისტოს (ფერიცვალებას) დილის 10 საათზე სახაბლის კარის ეკლესიაში აღვლენილ იქნება სადღესასწაულო წირვა.

ჭეშმარიტად გვწამს და გვჯერა მთელი ზუგდიდი შეიკრიბება ამ ნანატრ დღეს და ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს შეავედრებს ერს, მამულს, სრულიად საქართველოს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — IV დასის
ზუგდიდის კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საცხენოსნო სპორტი: რა გზას ადგია იგი?

# ნაშთი ძველი დიდებისა...

ცხენი. ამ გონიერ და კეთილშობილ არსებას ოდინდელი მეგობრობა აკავშირებს ადამიანთან. განგებამ თითქოს იმიტომაც შექმნა, რომ ადამის ძე საშინაო საქმეებში მიშველებოდა, ბუნებით თავისუფალსა და ყელაღერილს, შინაგანად შესაძლოა ეჩოთირებოდა კიდეც ფიცხელი ქედი აპეურებში შეეყო, კალო ელეწა, სვრელი გაეტანა, მაგრამ ამ ჭაპანს არასოდეს გაქცევია. ასე იყო ადადამ და ბაბადამ, ჯერ კიდევ ახალი ერის დაწყებამდე, რასაც ძველი არაწერილების ხალხთა წიგნი „პანჩატანტრაც" გვამცნობს.

მაგრამ ამ ფეხმარდი ცხოველის არსებობის თვით ფაქტი შორს სცილდება წმინდა უტილიტარულ ფუნქციებს. ისტორიული ძნელბედობის ჟამს, ათასი ჯურის მაოხართა ხმლით გამკვეთავი და მარბიელი ქართველი სწორედ ცხენის უნაგირიდან არწივივით გადმომზირალი იქნევდა ხმალს შამქორში, დიდგორსა თუ ბასიანში. მხედრული ყიჟინით გულგაფიცხებულ ულაყებს, ვინ მოთვლის, თავის პატრონთან ერთად რამდენჯერ მიუტანიათ სამშობლოს წმინდა სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლე...

ყველა აქ არის, აქ არის ყველა, ცოტნეც მოვარდა ჩორთით, ბრძანებს ტარიელ ჭანტურია და ჩვენ ვხედავთ თეთრშუბლა ქურანაზე გაკრულ დიდ მამულიშვილს, კოხტასთავისკენ იხარივით მიმქროლავს. სიმწრით ძარღვები უტოკავს დადიანს, ხოლო ცხენი მისი ლაჯებიდან შეიგრძნობს მხედრის გულისძგერას.

და მაინც ცხენი, როგორც საოცარი ბიოლოგიური ფენომენი, მეტწილად თავისი უნატიფესი ნაკვთებით, მშვენიერი მიმორხევითა და გრაციით გვხიბლავს. გაიხსენეთ თუნდაც დიდი კონსტანტინეს მიერ დახატული არაბია, რაოდენ ღვთაებრივ ჰარმონიას იტევდა თავის დაძარღვულ სხეულში იმ უზომოდ ამტუტებულ და ულვთო დროშიაც.

ფერდებმზიანი, აწყვეტილი ჟინით გახელებული, კანში დაუტევარი, ქარს აყოლილი,— ამ ექსპრესიას ბევრჯერ უზომო სიხარული მოუნიჭებია ჩვეულებრივ ყოფაში, კინოეკრანიდანაც, მაგრამ მწერლის ჯადოსნურ კალამს მეტი შესძლებია, სულგანათლებულ მერაბ კოსტავას მოვუსმინოთ: „რა შეედრება ჭიშიანი, ნაკვთად კეთილი ბედაურების ჭვრეტას, დიდრონი, მკვიანი, მიმნდობი თვალები, მაღალი, მწყობრი, ჰაეროვანი წვივები, ამაყად აზიდული, მასიური მკერდი, მოღერილი კისრის მტკიცე ბალავერი, მჭიდროდ შეტკეცილი, კუნთთა ზამბარებში მომწყვდეული მუცელი"...

დიახ. ყოველივე ეს პოეზიაა, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, იყო და არის გულის დამაღონებელი, ნაცრისფერი პროზაული დღეებიც. ადამიანის უმადურობამ ლაგამი აიწყვიტა და უკადრებელი აკადრა ცხენს, სამუდამოდ ძმობაშეფიცულს.

გაზეთებიდან:

...„უგუნურ ხელისუფალთა წყალობით, არცთუ ისე შორეულ წარსულში ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ცხენი ამოწყვეტილ იქნა. [illegible], სასურსათო პროგრამის შესრულებაში ხელს გვიშლისო და... საქეხვედ იმეტებდნენ ამ უმშვენიერეს არსებებს. ისე იყო და ამიტომაც მოვიმკეთ სავალალო შედეგი: 30-იან წლებში ქვეყანაში ითვლიდნენ 30 მილიონ ცხენს. ამჟამად 6 მილიონამდე დავიდა".

რეალობა, რომელიც ნოსტალგიას ბადებს: ძველად განთქმული ყოფილა კოლხური ჯიშის მაღალტანიანი ცხენი, რომელიც, სამწუხაროდ, ჟამთასვლაში გადაშენებულა...

ცხენის კულტი დომინირებდა საქართველოში. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ რომაელებმა რომში, მარსის მოედანზე, ცხენზე ამხედრებულ საქართველოს მეფე ფარსმანს (მეორე საუკუნე) ქანდაკება დაუდგეს...

დღეს კი, დღეს რა ხდება. სამწუხაროდ, გაუგონარი რამ. ადამიანთა უმადურობით გულდაკოდილი ტოლსტოის „ხოლსტომერის" უიღბლო მემკვიდრენი დღემდე განიცდიან ბიუროკრატიული სისტემის მძიმე წნეხს. ვინ იცის, რამდენ მათგანს ახლაც, ამ წუთას მეყასბის დანის-ქვეშ უდევს თავისი მშვენიერი ყელი...

ექსკურსი არცთუ ისე შორეულ წარსულში:

ჩემი თაობის ხალხს ახსოვს ამ საუკუნის ორმოცდაათიანი წლები. მართალია, ბრწყინავდა ფეხბურთელთა გუნდი, მაგრამ იქვე გვერდიგვერდ აღმავლობას განიცდიდა მშვენიერი ალტერნატივა: ცხენოსნური სპორტი. ზუგდიდის იპოდრომზე გამართულ მარულებსა და დოღებს, ისინდსა და ლელობურთს, დაბრკოლებათა გადალახვას აწყდებოდნენ გულშემატკივრები. რა დამავიწყებს ცხენოსნობის აღიარებული ენთუზიასტის ხაზა დარასელიას სანჩვენებელ გამოსვლას განუყრელი შავი „ციგანოკით". თითქოს მხედარიც და ბედაურიც იმიტომ გაუჩენია განგებას, რომ ერთიან სუნთქვაში შენივთებულიყვნენ, მთლიან არსებად ქცეულიყვნენ. ახლაც თვალწინ მიდგას უნაგირზე მოხდენილად მჯდარი, ზეაღმართული მარჯვენა ხელი, ნელი ჩორთით მავალი ცხენი. მერე უცბად, ეს გარინდებული ქანდაკება თვალისმომჭრელი სისხარტით გადმოეკიდებოდა უნაგირზე, მბზინავ მუცელზე აეკვრებოდა ბედაურს და თავზეხელაღებული ჯიგიტივით ძერწავდა ურთულეს ფიგურულ ტრიუკებს. ტრიბუნებიდან მოხეთქილ ტაშს და ყიჟინას ერთნაირად გრძნობდნენ ცხენიც და ჟოკეიც.

კარგად უწყოდათ ზუგდიდელებს, რომ ბატონი ხაზა თავისი გუნდით არაერთი რესპუბლიკური, თუ საკავშირო თასის მფლობელი გახლდათ. იცოდნენ ისიც, რომ ბუდიონის ნაჩუქარი საათიც უმშვენებდა საოჯახო რელიქვიას.

იმჟამინდელ ზუგდიდელ ცხენოსანთა წარმატებებს ქმნიდნენ ცნობილი მხედრები: ფაცო და ოთარ ხაინდრავები, ხუტა ხასია, დომენტი კანკია, ვენედი ჯგერენაია, თამარა ქითანავა, კოტე ჭიქია; ემელიანე ნაჭყებია, შოთა ჰურღულია და სხვები.

რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ? უნდა ითქვას, რომ ცალკეულ ენთუზიასტთა მონდომებით ეროვნული სპორტის ეს მომხიბვლელი სახეობა თანდათან იკრებს ძალებს. თუმცა ძველი დიდებისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ.

მოვუსმინოთ საცხენოსნო კლუბის დირექტორს კარლო ხორავას:

თვით ის ფაქტი, რომ ზუგდიდს დღეისათვის გააჩნია საცხენოსნო-სპორტული კლუბი, ბევრისმთქმელია. ჯერ ერთი, გვეძლევა საშუალება თანდათან ავაღორძინოთ თავის დროზე რატომღაც მივიწყებული ცხენოსნობის კლასიკური სახეობები: სამჭიდი, დაბრკოლებათა გადალახვა და ცხენის გაწვრთნის უმაღლესი სკოლა, რომლებიც შედის ხალხთა სპარტაკიადებისა და ოლიმპიური თამაშების პროგრამებში. კლუბს აქვს თავისი გამოკვეთილი საბრძოლო მიზანი და პროგრამა: აღნიშნული მასშტაბის ასპარეზობებისათვის მაღალკვალიფიციური ცხენებისა და სპორტსმენების მომზადება. ხოლო რაც შეეხება ეროვნულ სახეობებს — ცხენბურთს, ისინდს, ყაბახს, თარჩიასა და სხვას, ამ მხრივ, რომ იტყვიან, ყველაფერი თავიდან გვაქვს ასაწყობი, ყამირია გასავლელი. მკითხველმა თვად განსაჯოს. მარტო კახათში მოქმედი ცხენოსნური გუნდით განა გადავწყვეტთ რეგიონისათვის ეგზომ საშურ და მტკივნეულ პრობლემას? მთავარია აღსდგეს ის ტრადიციული, გულშემატკივრული დამოკიდებულება ცხენოსნობისადმი, რასაც 50-60-იან წლებში იჩენდნენ სოფლის ხელმძღვანელები. რაიონულ იპოდრომზე გამართულ შეჯიბრებებზე თავისი გუნდით და გულშემატკივართა არმიით მოდიოდნენ ანაკლიიდან, დარჩელიდან, კოკიდან, ორსანტიიდან, განმუხურიდან, ჯიხაშკარიდან, ახალსოფლიდან და სხვა. კმაყოფილებით ავღნიშნავთ, რომ ქალაქის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა აღგვითქვამს ქმედით დახმარებას ამ ჩავარდნილი პოზიციის ამოსაწევად.

ახლა უშუალოდ ჩვენი კლუბის საქმიანობაზე. გარკვეული ძვრები, რა თქმა უნდა, გვაქვს, მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ არაერთხელ რესპუბლიკური პრიზები აიღო ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა ოთარ ჯაფარიძემ, რომელიც ამჟამად ნაყოფიერ აღმზრდელობით მუშაობას ეწევა. არაერთი პერსპექტიული სპორტსმენი გაიოზარდეს გამოცდილმა მწვრთნელებმა: კლიმენტი ხარებავამ, ანზორ შონიამ და ზური წურწუმიამ. იმედის მომცემნი არიან დღეს მოქმედი მხედრები: ოთარი ქითანავა, დათო ჯაფარიძე, მამია შონია, ლექსო თოდუა, გურამ როგავა, ფელიქს ლაგვილავა, ბადრი ანთია, რამინ ლაგვილავა და სხვები. მომავალში უდაოდ მეტი მუშაობის გაწევა დაგვჭირდება მზარდი, ახალგაზრდების კლუბში მოსაზიდად.

მაინც რა უნდა გადაწყდეს დაუყოვნებლივ ჩვენში ცხენოსნობის ძველი დიდების დასაბრუნებლად? უპირველეს ყოვლისა შესაძენია 15-20 წმინდა სისხლის ცხენი, ასაშენებელია დახურული მანეჟი და ერთი ახალი თავლა. ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ საქმის საწალმართოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ინდივიდები არ დაიშურებენ მატერიალურ დახმარებას.

პრესა იუწყება, რომ ამერიკის ქალაქ კენტუკის იპოდრომის წლიური შემოსავალი შეადგენს მილიარდ დოლარს. მოსკოვის იპოდრომისა კი ხუთ მილიონ მანეთს... ხომ შეიძლება ჩვენთანაც ისე ავაწყოთ საქმე, რომ ამ უბერებელმა სპორტმა ესთეტიკური სიამოვნებასთან ერთად გარკვეული კაპიტალიც მოგვიტანოს? რატომ უნდა დავისახოთ ზუგდიდელებმა შორეულ ოცნებად იგივე ტოტალიზატორი? ვიფიქროთ, ვიფიქროთ ამაზეც, თანამემამულენო. მეცხენეობას ნამდვილად ძალუძს ინტერესი გაუღვიძოს კომერციული ალღოთი დაჯილდოებულ ადგილობრივ ენთუზიასტებს და ეს მოხდენილი საქმიანობა მომგებიან ეკონომიკურ სტრუქტურადაც ვაქციოთ.

ეს ისე, ერთერთი შესაძლო ვარიანტია ცხენოსნობის წინ წასაწევ რეალურ მექანიზმებს შორის. მთავარი მაინც ამ ეროვნული სახეობის აღორძინებაა. იპოდრომზე დაბადებულ მასობრივ აღტკინებას და სიამოვნების დამათრობელ წუთებს ვერაფერი შეედრება. ამდაგვარი ალტაცების ეკონომიკურ სარგებელზე გადაანგარიშება ძნელად ხერხდება. შევქმნათ ეს სადღესასწაულო შოუ.

ზ. ცხონდია.

## გილოცავთ, მეგობრებო!

# ჯილდო — ღირსეულთ

**სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 20 აპრილის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის" მედლით ქალაქ ზუგდიდიდან დაჯილდოებული არიან:**

**აბრამია ანატოლი ისიდორეს ძე** —სატყეო სამრეწველო კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების საქონელმცოდნე.

**აბშილავა ველოდი მამანტის ძე** —სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ანთელავა ედიშერ მუხრანის ძე** —სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ბერიშვილი გივი ალექსანდრეს ძე** — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ბუკია ლერი დანიელის ძე** — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ზეინკალი.

**ბულია შალვა კონდრატეს ძე** —სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**გაბელია გუგუ ივანეს ძე** — საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" სახანძრო უსაფრთხოების ინსპექტორი.

**გაბისონია გურამ ვლადიმერის ძე** — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**გლოტოვი ანატოლ ლვოვის ძე** — საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" ზეინკალ-შემკეთებელი.

**ვეკუა ნიკოლოზ ხარლიონის ძე** —საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" უფროსი ოსტატი.

**ზარქუა ეთერ თეოფანეს ასული** — საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" ოსტატი.

**ზარქუა ტრიფონ გიორგის ძე** —სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**თირქია გუჯა არსენის ძე** — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**კუკავა აბელ ვარლამის ძე** — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ლატარია ლუბა ელიზბარის ასული** — ცენტრალური ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარი.

**მესხია გურამ შალვას ძე** — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ნარმანია არდაშელ ვარლამის ძე** — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ოლენიკოვი ალექსანდრე ვიქტორის ძე** — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**პერტაია ნოე ალიოშას ძე** — სატყეო საწარმოო კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების საქონელმცოდნე.

**პლაქსინი ალექსი მიხეილის ძე** —საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" ზეინკალ-შემკეთებელი.

**სამუშია ნათელა იასონის ასული** — საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" სასტუმროს მორიგე.

**სამუშია არჩილ ვლადიმერის ძე** —საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" მუშა.

**საჯაია ლოლა ნესტორის ასული** — საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" მუშა.

**სუბელიანი ალექსი ყარამის ძე** —ნორჩ ნატურალისტთა სადგურის წრის ხელმძღვანელი.

(დასასრული იქნება)

## წერილი რედაქციას

ამასწინათ ფაიფურის ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივის წარმომადგენლებმა 160 კაცისაგან ხელმოწერილი განცხადება მოიტანეს რედაქციაში.

—ამ განცხადების პირველი პირი,—თქვეს მათ,—პარტიის საქალაქო კომიტეტსა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომშია. მეორე ეგზემპლარს თქვენ გიტოვებთ. ის, რაც ფაიფურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს გვაწუხებს და გვაღელვებს, ეს მთელი ჩვენი ქალაქის მოსახლეობის საწუხარი და სატკივარია. მოვითხოვთ იგა ჩვენს ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდოს. თუ ამ წერილიდან გაჭრობის ხფეროს მუშაკები საჭირო დასკვნებს არ გააკეთებენ, ჩვენ მათ ისეთ აქციას მოვუწყობთ, რომ სამუდამოდ დაეკარგოთ მშრომელი ხალხის უმოწყალოდ ყვლეფის გაზრდილი მადა.

თუ რა აქციის მოწყობას აპირებენ მეფაიფურეები, ეს მათ არ უთქვამთ, მაგრამ ვაჭრობის მუშაკთა გარკვეული ნაწილი მოსახლეობის გაძარცვას რომ იმსახურებს, ეს არავისთვის არ არის ხადარ.

რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა მეფაიფურეთა წერილ-განცხადების გამოქვეყნება ყოველგვარი კომენტარისა და შესწორების გარეშე.

# როდემდის ვითმინოთ?

ჩვენი შრომითი კოლექტივისათვის არაა უცხო ის პრობლემები, რაც სადღეისოდ დგას ქვეყნის წინაშე და რამაც გამოიწვია სასურსათო და სხვა პირველი მოხმარების საქონლის დეფიციტი. ყოველივე ამას ვუძლებთ შეძლებისდაგვარად თუ კი ამას გაძლება ჰქვია. ვუძლებთ და ვითმენთ იმიტომაც, რომ გვესმის სურსათის მხრივ შექმნილი სიძნელენი საერთო საკავშირო მოვლენაა და ჭამი ჩავარდნილი კაცისა არ იყოს რა ძალა გვაქვს) არ მოვითმინოთ, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია რატომ ნაწილდება ზუგდიდში ერთ სულ მოსახლეზე ერთი კილოგრამი შაქარი, როცა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში, რაიონებში და თვით თბილისში ეს ნორმა ორ კილოგრამამდე აღწევს.

ერთი კილოგრამი შაქარი თვეში ერთ სულზე არც მეტი, არც ნაკლები დღეში სამ კოვზს ნიშნავს, რასაც ვითმენდით უკეთესობის მოლოდინში. გვეგონა, რომ განაწილების ამ სისტემას ვინმე გადახედავდა და მდგომარეობას გააუმჯობესებდა, მაგრამ მოვტყუვდით. ჩვენ არ გვეგულება ისეთი მოზარდი, რომელსაც დღეში სამი კოვზი შაქარი ყოფნიდეს. მოზარდებს უყვართ ტკბილეული. ჩვენ კი უბრალოდ იმის საშუალებაც არა გვაქვს შვილებს ვაჭამოთ მურაბა, ოჯახური ნამცხვარი და სხვა. ყველას კარგად მოეხსენება ისიც, რომ საკონდიტრო ნაწარმით ჩვენი მაღაზიები არ არიან განებივრებულნი.

თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ თბილისში და ზოგიერთ რაიონებში, ზუგდიდის სოფლებში ერთ სულ მოსახლეზე რიგდება ორი კილოგრამი შაქარი. ვერ გაგვირკვევია, ჩვენ ქალაქ ზუგდიდის მცხოვრებლებმა რა დავაშავეთ, რით ვართ სხვებზე ნაკლები. რატომ გონია ვინმეს, რომ ჩვენს ბავშვებს ტკბილეულზე მოთხოვნილება სხვებზე ნაკლები აქვთ.

მოვითხოვთ გაგვარკვიოთ. საიდან მოდის სასპეკულაციო ფასებში გასაყიდი შაქარი. თუ საერთოდ არ არის შაქარი, მოსახლეობას იმდენი მაინც მივცეთ, რომ ბავშვებისათვის ეყოთ.

გვესმის რომ ქვეყანას უჭირს. არა მარტო შაქარზე, არამედ, სხვა სასურსათო პროდუქტებზეც დიდი სიძნელეებია. მაგრამ ეს არ არის, რომ საკოლმეურნეო ბაზარში შეიძინონ. სიეჭვო და გამოსაძიები არაფერია იმაში, რომ ისინი შაქარს ტომრებით იძენენ ჩვენივე სასურსათო მაღაზიებიდან და საწყობებიდან.

ნებისმიერ მოქალაქეს უჭირს სასურსათო მაღაზიებში შეიძინოს მაღალი ხარისხის პურის ფქვილი. კოოპერატორებისათვის კი ეს პრობლემა არ არის. როგორ ხდება ყოველივე ეს. რით დაიმსახურეს მათ ეს უპირატესობა?

გვაინტერესებს საიდან მარაგდებიან ბოსტნეულით „კოოპვაჭრობის" მაღაზიები, როცა ...ილ-ბოსტნეულის მაღაზიები ცარიელია და მუშათა სასადილოები ბოსტნეულის დეფიციტის გამო ისეთ სალიანკას სთავაზობენ მშრომელებს, რომ მასში სიძნელეები რატომ არ ვრცელდება საკონდიტრო კოოპერატივებზე. გაიხედავ ქალაქში და ყოველ ნაბიჯზე საკონდიტრო კოოპერატივების ჯიხურები და დამტარი ტახტებია. სადაც მამასისხლად იყიდება სხვადასხვა სახის ნამცხვარი. კოოპერატორ ცხეკულანტებს რას ეყოფათ ერთი კილოგრამიანი ტალონით მიღებული შაქარი,—ისინი ამას იყენებ ტომრებით, მაგრამ საკითხავია საიდან და რა გზით? შაქარი გლეხის მიერ წარმოებული ნამეტი პროდუქტი ხომ ბოსტნეული მიკროსკოპითაა საძებარი.

დადის ხმები თითქოს „ვილაკ ვილაცეებთან" შეთანხმებით „ხილბოსტანვაჭრობა" ხელსაყრელ ფასებში გადასცემს ბოსტნეულს „კოოპვაჭრობის" ობიექტებს. არ გვინდა დავიჯეროთ ეს მთარული ჭორი, მაგრამ როგორ ვირწმუნოთ, რომ სახელმწიფო სექტორში სულ შეწყვიტა მუშაობა, მხოლოდ კერძო სექტორი ფუნქციონირებს და თავის ნაწარმს კოოპერატორებს გადასცემს.

ქვეყანაში დიდი სიძნელეებია და დღეს ყველას უჭირს, მაგრამ ყველაზე მეტად უჭირს ...მუშათა კლასს, ინტელიგენციას, იმათ, ვინც სუფთა ხელფასით ცხოვრობს.

ჩვენი სასურსათო მაღაზიების დაცარიელებული დახლები ვერაფერი იმედის მომცემია. საკოლმეურნეო ბაზარში კი ყველაფერი ცეცხლის ფასად იყიდება. ასე რომ მას ჩვენი ოჯახური ბიუჯეტი ვერ გაუძლებს.

ყველა ამ ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე ფაიფურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები კონკრეტულ პასუხს მოვითხოვთ ქალაქის ხელმძღვანელებისაგან და ვაჭრობის დარგის მუშაკებისაგან.

ფაიფურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სახელით:

ნ. თორდია,
დ. ზარქუა,
ბ. ჭაჭაია,
ნ. ლემონჯავა,
(სულ 160 ხელმოწერა)

ტელეეკრანით შობილი შთაბეჭდილება

# შეხვედრა ქიაჩელის გმირებთან

13 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიამ ზუგდიდელ თეატრის მოყვარულებს სასიამოვნო ხუთშაბათი აჩუქა. ნაჩვენები იქნა ჩვენი თეატრის მიერ შარშან განხორციელებული სპექტაკლი „თავადის ქალი მაია". ერთხელ კიდევ გაცოცხლდა რევოლუციამდელი მეგრული სოფლის კოლორიტი. ცის ტატნობზე ამოცურებული პირბადრი მთვარე ვერცხლისფერ შუქს ფენს არხმარეს. ფიცრულ ჯარგვალში ნელი ცეცხლი ღვივის. ისლიანიდან მოდენილი ჭრიჭინობელის ხმა საოცრად ეხმიანება სიდუხჭირით გულგასუქნილი გლეხკაცის სევდიან ღიღინს. აქ თანდათან გათამაშდება ოდიშის შვილთა ცხოვრების დრამა, დროთა კავშირის რღვევით შობილი კოლიზიები, ღალატი, ფანატიკური რწმენა, ერთგულება... უცქერი სილევან კიკვაძის მიერ შინაგანი, მოზომილი ტაქტით, თავშეკავებული მგზნებარებით შესრულებულ ბონდოს და ერთხელ კიდევ თვალწინ ცოცხლდება მთელი იმ თაობის ტრაგიკული ხვედრი, რომელსაც ბოლშევიკურმა რეჟიმმა იმთავითვე გამოუტანა სასტიკი მსჯავრი. აქტიორი წინ წამოსწევს თავისი კლასის ტიპიური წარმომადგენლის სულიერ სამყაროში ჯერ კიდევ შემორჩენილ ღირსების შრეს, რაც მას საოცრად აწეწილ დროში რაღაცნაირ ორიენტირად უნდა გამოადგეს. ბონდოს ტრაგიკულ ბედში იმ წლების სულისხა ჩაწნეხილი. გულიაში მოხვედრილი ნადირივით აწყდება აქეთ-იქით, რამეთუ უკვე გეში აქვს ნაკრავი, განწირულობის, ჩიხში მოქცევის გეში. მაგრამ ბონდოს გააჩნია თავისი შინაგანი სამშობლო. ეს არის მისი დედა-ენა, შფოთიანი ენგური და თუთარჩელა ოდიშური ღამეების მისტერია, სულის შემძვრელი მელოდია, თავისი წინაპრების ხსოვნის ნათელი. სამშობლოს ამ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს ტრფიალება უბრალო სოფლელი ქალიშვილის დაფინოსადმი, არა, ეს არ უნდა იყოს ვნებამოძალებული, ავხორცი თავადიშვილის მზაკვრული ფანდი. დაფინოსთან განმარტოებაში ის ახალ დროებასთან მისასვლელ ბილიკს ეძებს. მსახიობის მიხვრა-მოხვრაში ბონდოს ხაზგასმული ელეგანტურობა იკითხება და ის ნაღველკაეშანიც, რაც მამაპაპური ჩოხა-ახალუხივით მოურგია მის დასეტყვილ სულს.

ტელეგადაცემის ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც თავადის ქალი მაიაა. რა საოცარი სიზუსტით, ფსიქოლოგიური ნიუანსირებით აქვს ლეო ქიაჩელს გადმოცემული ზვიადი ქალბატონის ცხოვრებისეული ბედის, ხასიათის დინამიკა. თავისმა დრომ იგი საკმაოდ ანებივრა, დააკრისტალა მასში კლასობრივი უპირატესობის გრძნობა. ეს გოროზი, ზედმეტად ამპარტავანი ქალბატონი ფაქტიურად ლამაზი მოგონებებით ცხოვრობს. მის სასიყვარულო ქსელში არაერთი რჩეული ვაჟკაცი გაბლანდულა. რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნანა ფაჩუაშვილი ჩვეული ოსტატობით, დახვეწილი მანერებით გადაშლის ჩვენს თვალწინ არისტოკრატი ქალის ცხოვრების მღელვარე პერიპეტიებს, მის შინაგან ძიებებს, რომლებშიც მისი ხასიათის უცნაურობებთან ერთად დროის აბსურდულობაც იკვეთება. თავისი კლასის შვილის, ისტორიული დროების პროდუქტის ცნობიერება მიჯაჭვულია თავისი წრის ისტორიასთან, ფსიქოლოგიასთან, ღირებულებათა სისტემასთან, ცხოვრების წესთან. ბუნებრივია, ამბაკოს და მისი თანამოაზრეების მიერ დამკვიდრებულ დროში მაიასთანა პიროვნებებს არაფერი ესაქმებათ. მათი ხვედრია მოლანდებების სამყაროში გაუხარელი ყოფა. მსახიობ ნ. ფაჩუაშვილს მშვენივრად მოაქვს განწირულების თემა, ის, რომ მისნაირებს ჯუჯილის სუსტი ღეროებივით „დრო უკამური" მიწასთან გაასწორებს. და აკი დაილუპა კიდეც.

ამ სპექტაკლში დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ალიოშა როგავამ, ტარიელ ზურაბაშვილმა ნანა ბუკიამ და სხვებმა.

მადლობა ახალგაზრდა რეჟისორს მერაბ სვირავას მშვენიერი სპექტაკლის განხორციელებისათვის. და საქართველოს ტელევიზიასაც, ეს შთამბეჭდავი სანახაობა მთელი რესპუბლიკის მაყურებელთა კუთვნილება რომ გახადა.

ჯ. თილუა,

# სიცოცხლე გრძელდება

(ჩანახატი)

ქართველი კაცის საფიცარი ოდითგანვე სამი რამ იყო: ენა, მამული, სარწმუნოება. ამათგან რომელიმეს ხელყოფა ქართველისთვის დიდი ტკივილი იყო. მაშ, რატომ გვჭირდება დღეს ამდენი კიცინი ენის დასაცავად, რატომ მოგვიხურეს სალოცავის კარები, დაგვიქუცმაცეს წინაპართა სისხლით მორწყული მამული...

„მამულის წარსულს შევყევი
ფიქრში,
უცებ ულმობელ ქარაფთან
შევდექ,
გონწასულს ხელი ჩამჭიდა
ცოტნემ,
ბერმა თევდორემ თუ საავაძემ
და შინ დავბრუნდით მე და
მამული".

რა მშვენივრადაა ნათქვამი.

ვინ იცის რამდენ წელიწადს ვდუმდით, დღეს ერთ მუშტად შევიკარით, თურმე როგორ გვყვარებია ღმერთი და როგორ მოგვწყურებია მასთან სიახლოვე.

თითქოს ვიცით, გვისწავლია ჩვენი ქვეყნის ისტორია, მაგრამ რამდენ დაფარულს ეხსნება ფარდა, რამდენი რამე გავიგეთ... მტერი უფრო მეტი გვყოლია, ვადრე მოკეთე. არ დარჩა ზეზერი საქართველოს ერთი ნაწილიც, რომ არ დაეკოდათ, ბოლო ორი ჭრილობა ჯერაც მოუშუშებელ ტკივილად რჩება.

...იგრძნობოდა მოახლოებული საშიშროება, მაგრამ მაინც უტეხად ვიდექით, ღმერთისა და სამართლიანობის იმედით.

კვლავ დაიღვარა სისხლი...

ღმერთის წყალობით მაინც გავიმარჯვეთ, სიმღერამ გაიმარჯვა!

სისხლიანი ივლისის დაემსხვერპლა მამის ბიჭი, აფხაზთა ბრმა ტყვიას იმსხვერპლა, მაგრამ სიკვდილს ახალი სიცოცხლე შეენაცვლა. მამის დაღუპვიდან მეორმოცე დღეს ქვეყანას ახალი სიცოცხლე მოევლინა. ადრე წაგვართვა სიკვდილმა მამულისათვის გულანთებული ჭაბუკი, სიცოცხლემ კი გვაჩუქა პატარა ონერი შენგელია, რომელსაც დიდი გზა აქვს გასავლელი.

წელიწადი ესრულდება პატარა ონერის, მის მშვიდ ძილს სდარაჯობენ დედა და ბებია. მშვიდად სძინავს; პაწიასაც; მამულს კი ეიმედება ყრმების, რომელთაც მამების საქმე უნდა გააგრძელონ.

ირმა კოლოშვილი.

## გმადლობთ თანადგომისათვის

დავიბადე და გავიზარდე გუდაუთის რაიონში. ადრევე დავობლდი, მამაჩემი ძმათა ომის მსხვერპლი გახდა.

ჩვენი წყლული განაახლა ივლისში დატრიალებულმა ამბებმა. ასეთ დროს ჩემს თანამდგომად აღმოჩნდნენ ზუგდიდელები, ხელი მომიმართეს, საკუთარი ჭერის მოწყობაში დამეხმარნენ.

დახმარების ხელი გამომიწოდეს პარტიის საქალაქო კომიტეტის ყოფილმა მდივანმა დ. შამათავამ, კულტურის განყოფილების გამგემ ჯ. როგავამ, პირველი სამუსიკო სკოლის დირექტორმა მ. მატკავამ, ბ. ძიძიგურმა, პედაგოგებმა ლ. ქვარცხავამ, ი. კეიდიამ, ნ. კონჯარიამ და სხვებმა.

მადლობელი ვარ მათი თანადგომისათვის. კვლავ არ ჰქონოდეს საქართველოს მძიმე დღეები, და, იგი გაერთიანებული ძალით მოპოვებულმა თავისუფლებამ შეცვალოს.

მზია ჯანჯალია.

# ვფიქრობთ, კარგ ტრადიციად დამკვიდრდება

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართველთა ერთიანობას, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს. ეს თვისებები უნდა მკვიდრდებოდეს არა მხოლოდ ცალკეულ ოჯახებში, არამედ საგვარეულოსა და რეგიონებში, აქედან გამომდინარე მთელ საქართველოში,

ამ მხრივ სახარგებლო მოვლენად მიგვაჩნია საგვარეულო ტრადიციული დღესასწაულების აღდგენა, გვარის წარმოშობა-განვითარების ისტორიის შესწავლა, სათვისტომოების შექმნა. გვარის სიმტკიცისათვის ზრუნვა კეთილ საქმედ მიგვაჩნია, რადგან ჩვენს ისტორიაში დღემდე მრავალი მაგალითია იმისა, გვარგამოცვლილი ქართველები როგორ გვევლინებიან ჩვენივე მოწინააღმდეგეებად, ეროვნებასაც იოლად თმობენ და მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს.

ჩვენ გადავწყვიტეთ შევქმნათ შენგელიების სათვისტომო, რომლის მიზანი იქნება თანამოგვარეთა ურთიერთკავშირის განმტკიცება, დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა-რეგულირება, საგვარეულო ეკლესიის აღდგენა სოფელ ჭიხაშკარში, სათვისტომოს საქველმოქმედო ფონდის შექმნა და ბანკში ანგარიშის გახსნა—ამ ფონდიდან მრავალშვილიან, ობოლ და ხელმოკლე ოჯახებისათვის დახმარების გაწევა. დავამყარებთ კავშირს როგორც საქართველოში მცხოვრებ, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, საზღვარგარეთ მცხოვრებ შენგელიებთან, ვიზრუნებთ გვარის წევრთა საკარმიდამოში პერსპექტული მეურნეობის განვითარებისათვის, გავუწევთ დახმარებას სწავლასმოწყურებულ ახალგაზრდებს როგორც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე საზღვარგარეთ მისავლინებლად, დაიგეგმება და გატარდება სხვა ღონისძიებებიც სათვისტომოს დამფუძნებელ კონფერენციაზე.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ შენგელიები, ასევე ფართო საზოგადოებრიობა, მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები, მიუთითეთ თქვენი მისამართები. ჩვენი მისამართია: 384700, ზუგდიდი, ლესელიძის 32. ვლადიმერ რაულენის ძე შენგელიას. ტ: 2—60—93.

საინიციატივო ჯგუფის სახელით: ვლადიმერ შენგელია.

# შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან იტყობინებიან

12 აგვისტოს დაახლოებით 22 საათზე ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილზე ახალკახათის ტერიტორიაზე უიგულის მარკის ავტომანქანა დაეჯახა ახალკახათის მცხოვრებლებს ჯ[illegible]ან ილიას ძე და ნუგზარ დოჩის ძე რიგვავებს, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში მყოფნი მოთავსდნენ რესპუბლიკურ საავადმყოფოში. აღნიშნული ავტომანქანის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

13 აგვისტოს ღამის ოთხ საათზე ოპერატიული ჯგუფის მიერ დაკავებულ იქნა გალის რაიონის სოფელ რეფში მცხოვრები გელა პანტიკოს ძე მოროხია, რომელსაც აღმოაჩნდა გადაჭრილი ერთლულიანი თოფი. იგი ამჟამად დაკავებულია, აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

## ი. ი. ჯალალონია



გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, სკკპ წევრი 1946 წლიდან ილარიონ ივანეს ძე ჯალალონია.

იგი დაიბადა 1912 წელს სოფელ ჯგალში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ აქტიურად ებმება საკოლმეურნეო ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჯგალისა და ოდიშის კოლმეურნეობებში ბრიგადირად. არაერთხელ იყო არჩეული სასოფლო საბჭოს დეპუტატად. სამამულო ომის წლებში მამაცობის გამოჩენისათვის მიღებული აქონდა მთავრობის ჯილდოები.

ვაჟკაცური ადამიანს თავისი წვლილი შეჰქონდა ოდიშის კოლმეურნეობის წინსვლის საქმეში. წავიდა ჩვენგან უანგარო პიროვნება, ახალგაზრდობის საუკეთესო დამრიგებელი. ხსოვნა ვაჟკაცისა დიდხანს შემორჩება ჩვენს გულს.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი

აკ. ჭანტურია.

წერილები რედაქციას

# ვიფიქროთ ამაზეც

ამასწინათ ერთერთ ინსტანციაში რუსულ ენაზე დაბეჭდილი განცხადების გაგზავნა დაგვჭირდა. აღნიშნული განცხადების ტექსტი ქართულ ენაზე გავამზადეთ, მაგრამ ვერ ვიპოვნეთ ისეთი ჟურნ, რომელიც განცხადებას რუსულ ენაზე გვითარგმნიდა და დაგვიბეჭდავდა.

ერთ დროს ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობდნენ ისეთი მემანქანეები, რომლებსაც ქართულიდან რუსულად ტექსტის თარგმნაც შეეძლოთ და ბეჭდვაც. მაგრამ, სამწუხაროდ მათი უმეტესი ნაწილი, როგორც გავიგეთ შტატების შემცირებას მოყოლია და დღეს არსად არ მუშაობს.

საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი თავის ორგანიზაციაში ვის შტატს შეამცირებს და ვის დატოვებს ეს ჩვენი გასარჩევი არ არის, ამაზე იმან იფიქროს, ვისაც მისი კონტროლი სამსახურებრივად ევალება. მაგრამ რუსულ ენაზე მბეჭდავი მემანქანე რომ საჭიროა, ეს ფაქტია.

კარგი იქნება თუ ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ითავებს ამ საქმეს და აიყვანს რუსულ ენაზე მბეჭდავ მემანქანეებს, რომლებსაც ერთდროულად თარგმნაც შეუძლია და ბეჭდვაც. მბეჭდავები კი ნამდვილად მოიძებნებიან.

ლ. თოლორაია,
ჟ. ბერულავა,
ვ. ივარდავა,
მ. ჯაბურია.

# ავს თუ ავი არ ვუწოდო...

კარგს სახელად რა დავარქვო? გურამიშვილის ეს შეგონება სწორედ ითქმის იმ არამზადა, ავადსახსენებელი, ნაძირალა კაცის მიმართ, ვინაც მოგვიკლა მამა.

რა ვქნათ, რომ ვერ ვისვენებთ მე და ჩემი ძმიკო თემური. რა დაიშავა ჩვენმა მამამ, იქნებ მართლაც იყო იგი ამის ღირსი, ჩვენ კი არა ვიცით რა კაცს ღირსით, მზისით, ხალხის თვალწინ, აუღელვებლად, წარმოებაში უმიზეზოდ ხომ არ მოკლავდნენ? და სწორედ ეს გვაინტერესებს, გვაღელვებს, მოსვენებას არ გვაძლევს. რამხელა იმედი გამოგვაცალა უგვანო ადამიანმა. გვესირცხვილება. ზოგიერთები მაინც „კარგ კაცად" რომ გვთვლიან კაცის მკვლელს.

სწორედ ასეთებზე აქვს ნათქვამი გურამიშვილს „ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქვო?!"

თეა, თემურ ივარდავები.

# განცხადებები, რეკლამები...

რაიონისა და ქალაქის მოსახლეობის საყურადღებოდ!

ზუგდიდის სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის ტყეებში ყოველგვარი სახის ჭრების ნორმები ამოწურულია.

მეურნეობას მიმდინარე წელს მოსახლეობის საშეშე მერქნის გაცემისა და დამზადებული შეშით მომარაგების საშუალება არა აქვს. გთხოვთ, დროულად იზრუნოთ ზამთრისათვის სხვა სახის სათბობით მომარაგებისათვის.

ზუგდიდის სატყეო მეურნეობის დირექცია.

რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების საყურადღებოდ!

ზოგიერთ სოფლებში ადგილი აქვს სამოსახლოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთებზე, არსებული ერთეული ძირი ხეების ამოძირკვისა და მისი განადგურების ფაქტებს.

აღნიშნულის აღმოსაფხვრელად გთხოვთ, არ დაუშვათ სამოსახლოდ მიწის ნაკვეთების გამოყოფა ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტისა და ზუგდიდის სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის მუშაკების მონაწილეობის გარეშე.

ზუგდიდის სატყეო მეურნეობის დირექცია.

მსურს ვიყიდო ერთი ან ოროთახიანი იზოლირებული ბინა ქალაქის ცენტრალურ ადგილებში. სასურველია გარაჟით ცნობებისათვის დარეკეთ 2-62-58.

ზუგდიდის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ჟულიეტა იგორის ასულ პერტია-კუკავას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნათელა შვილი დათო იუწყებიან სერგო ჯვებეს ძე ფირცხელავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 აგვისტოს. დაკრძალვა 21 აგვისტოს სოფელ ჭითაწყარში. გამოსვენება დარასელის 8.

შვილები: ლეუშა. მერი. გიგიშა. ძაბია. რძლები ლუარა ფარჯიკია. ფასო ქვარაია. ვენია ჭოჭუა, სიძეები თამაზ ჭოლაძე შალვა ქანთარია, შვილიშვილები: ზვიადი. ზეინაბი. გია. გელა. ხათუნა. ზაალი. ბესიკი. მაია, თენგიზი, ნარგიზა, ნანა, ძმისშვილები. დისშვილები. მაზლიშვილები. მულიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მარო პავლეს ასული ჭოჭუა-კუკავა. პანაშვიდი 18, 19 აგვისტოს. დაკრძალვა 21 აგვისტოს ს. დიდინეძში.

მეუღლე ნიკანდრო ქირია, შვილები იზა, არჩილი, შვილიშვილები: კახა, ლაშა გობრონიძეები, და გულნარა, ძმები ოთარ, რომან მელიები ოჯახებით, დეიდა მეცე პაჭკორია, სიძე კუკური გობრონიძე, დეიდაშვილები. ბიძაშვილები. მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გულიკო არჩილის ასული გარდავა-ქირია. დაკრძალვა 19 აგვისტოს 6 საათზე სოფელ ცაიშში.

შვილი დოდო, სიძე გრიშა ჭედია ოჯახით იუწყებიან მუშნი შაფათის ძე ჯიქიას გარდაცვალებას.

დედა ოლია, მეუღლე ივერიკო. შვილი ზური., ძმა კუკური. დედამთილი პელაგია, მამამთილი მალხაზი. მაზლები სერიოჟა. დანიელი ახალაიები. რძლები ნანა წულაია. ფაცია ნადარაია, ქორიდიკო ნორა ახალაიები. შვილიშვილები: [illegible] მალხაზი, ძმისწულები: ბესი[illegible] პაატა ქირიები ოჯახით. მაზლიშვილები: თემური. ზაზა. მაკა. დეიდები: ფუცუ. ქსენია, ზინა ცხომარიები. მზახლები თამარი, დურუ წულაიები. დეიდაშვილები, მაზლიშვილები ოჯახებით იუწყებიან ბაბუცა მიხეილის ასულ ქირია-ახალაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24 აგვისტოს. დაკრძალვა 25 აგვისტოს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ენგელსის პირველი შესახვევი 3.

მეუღლე ლუცია. შვილები: ლუიზა, ნინელი. ნონა, ძმა კადრიბე, რძლები: ია, ნაზია, ნელი, სიძეები: მირიანე კვამპალიანი, ბორო მიქაძე, ვალერი თოდუა, შვილიშვილები: მარიზა. ელმირა, ემა. თამუნა. ელიზა ლეფსიები. ბაჩუკი. მაია. ელგუჯა კვამპალიანები. პაატა. ზაზა მიქაძეები, ჯურხა, ნანა თოდუები. ძმისშვილები: პალიკო, ვიდიკო. ნათელა. კუკური, მზიური. დანიელ ლეფსიები, დისშვილები: არველოდი. ზინა. ნარგიზა ხვიჩიები. ველოდი, თანი. გივი კვიკვინიები, ცოლისდები: ლიდა, ნორა ნანავები. ქვისლები: ვალერიან ფარცვანია. აპოლონ ბერიშვილი. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან კიკუ გრიგოლის ძე ლეფსიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22 აგვისტოს. დაკრძალვა 23 აგვისტოს სოფელ ნარაზენში.

მეუღლე მარლენი, შვილი რამაზი, დედა ციალა. მამა იგორი, დები: ლარისა. ეკა. მარინა. ცირა, ძმა გიგა. მამამთილი ქვათა კუკავა. ბებიები ანტისა, ქსეხია. ამანდა. მულები: როზეტა, მარინა. ქეთო, მაზლები მამუკა. ჯანო კუკავები, მამიდები: მერი. დინარა. მარგო. დეიდა ლილი კოხრეიძე, ბიცოლები: ქენია, ნათელა. ბიძები გივი. იაშა კოხრეიძეები. კოჭიკო ბიგვავა, გივი ცაავა. სიძეები აბელი ფაცაცია, მერაბი ლატარია. გია გაბუნია, ალიკო გოგოხია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან ჟულიეტა იგორის ასულ პერტია-კუკავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 აგვისტოს. დაკრძალვა 21 აგვისტოს 5 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. 260-დან.

მეუღლე ანგელინა ხარებავა, შვილები: ოლეგი, ნუნუ. ძმა ოქრო. დები: ქუქუნა, ჟულიეტა. შვილიშვილები კონსტანტინე. ერეკლე. გიორგი. სოფიო. მიხეილი. სიძეები გიორგი შერვაშიძე. თემურ კობახიძე. რძლები მერი ანჩაბაძე. გული ჩიტაია. ეთერი დარასელია. ვინარი მაქაცარია. ძმისშვილები იზო. ნანა. კობა. ინგა. ცირა. დისშვილები: ლელა. ლია. ბიძა შალვა. დეიდა ბუცა. ბიცოლა ქეთო. მზახლები: შოთა. ფლორა ანჩაბაძეები. სერგო. ბაბელინა შერვაშიძეები. ბიძაშვილები. დეიდაშვილები, ცოლისძმისშვილები, [illegible]შვილები ოჯახებით იუწყებიან როლანდ (შუქური) ვარლამის ძე ფანცულაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19, 20 აგვისტოს. დაკრძალვა 21 აგვისტოს 6 საათზე. გამოსვენება გოგებაშვილის ქ. 48.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-38-69, პასუხისმგებელი მდივნის —2 31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2 21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, ხაზიორედაქციის —2 47 09

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის ტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 58 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000. შეკ. №3730